

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი

„-----“ ----- 2026 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, შერიგ ხიმშიაშვილის ქუჩა №29-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წერილის საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქ. ბათუმში, შერიგ ხიმშიაშვილის ქუჩა №29-ის მიმდებარედ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 57,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.24.04.580), შემდგომში მისი შპს „გრანდ მოლი“-სათვის (ს/№445524479) პირდაპირი განკარგვის წესით (პირობებით) საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) :-

ა) შპს „გრანდ მოლი“-სათვის (ს/№445524479) მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.24.04.580) პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა მოხდეს იმ პირობით, რომ შესაბამისი გარიგების (ხელშეკრულების) გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2026 წლის 27 მაისის N003727026 დასკვნით განსაზღვრული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება - 281127.00 (ორასოთხმოცდაერთი ათას ასოცდაშვიდი) ლარი შპს „გრანდ მოლი“-ის მიერ ჩაირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.;

ბ) შპს „გრანდ მოლი“-მ სავაჭრო ცენტრი -ს ექსპლუატაციაში მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა უნდა განახორციელოს კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.24.04.019) განთავსებული სატრანსფორმატორო პუნქტის მიერ დაკავებული 120.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე მდებარე 72,0 კვ.მ შენობა-ნაგებობის გამოყოფა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უძრავი ქონების სს „ენერგო პრო ჯორჯია“-სათვის საკუთრებაში გადაცემის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები;

გ) შპს „გრანდ მოლი“-მ საკუთარი ხარჯებით სს „ენერგო პრო -ჯორჯია“-სთან შეთანხმებული პირობებით და ვადით უნდა უზრუნველყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული 7 (შვიდი) ერთეული სატრანსფორმატორო პუნქტის გარემონტება.

3. გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.24.04.580) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება:

ა) წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.24.04.580) შპს „გრანდ მოლი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა და მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შპს „გრანდ მოლი“-ის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტში ჩარიცხვა.;

ბ) შპს „გრანდ მოლი“-ის მიერ სავაჭრო ცენტრი -ს ექსპლუატაციაში მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.24.04.019) დაყოფა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უძრავი ქონების სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სათვის საკუთრებაში გადაცემის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები;

გ) შპს „გრანდ მოლი“-ს მიერ საკუთარი ხარჯებით სს „ენერგო -პრო ჯორჯია“-სთან შეთანხმებული პირობებით და ვადით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული 7 (შვიდი) ერთეული სატრანსფორმატორო პუნქტის გარემონტება.

4. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია და განკარგულებით განსაზღვრული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების გატარება.

5. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე მაისურაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, შერიგ ხიმშიაშვილის ქუჩა N29-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შპს „გრანდ მოლი“-ის (ს.ნ.445524479) 2026 წლის 01 მაისის და 06 ივლისის (N10/1426121435-14 და N10/1426187410-14) განცხადებებიდან გამომდინარე, რომელიც ეხება N05.24.04.019 საკადასტრო კოდით კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ განთავსებული სატრანსფორმატორო ქვესადგურის გადატანა/რეკონსტრუქციას და აქედან გამომდინარე, გამოთავისუფლებული 57.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „გრანდ მოლი“-ისათვის (ს.ნ.445524479) პირდაპირი ფორმით საკუთრებაში გადაცემას მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა რიგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები კერძოდ, ქ. ბათუმში, შერიგ ხიმშიაშვილის ქუჩის N29 მიმდებარედ, 57.00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ.05.24.04.580) დარეგისტრირდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ამასთან, მუნიციპალიტეტის დაკვეთის საფუძველზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2026 წლის 27 მაისს მომზადდა N003727026 დასკვნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უძრავი ქონების (ს.კ. 05.24.04.580) პირდაპირი წესით შპს „გრანდ მოლი“-სათვის გადაცემის საკითხთზე, სს „ენერგო პრო ჯორჯია“-ში (N14-1426188398, 07.07.2026წ) და შპს „გრანდ მოლი“-ში მუნიციპალიტეტის პოზიციასთან დაკავშირებით გადაგზავნილ (N14-1426195640, 14.07.2026) წერილებზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია საპასუხო მოსაზრება/პოზიცი(ებ)ი (N10/1426194366-14, 13.07.2026წ და N10/1426196362-14, 15.07.2026წ).

სს „ენერგო- პრო ჯორჯია“-ს და შპს „გრანდ მოლი“-ს ინტერესების გათვალისწინებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „გრანდ მოლი“-მ სავაჭრო ცენტრი-ს ექსპლუატაციაში მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა აგანახორციელოს კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.05.24.04.019) განთავსებული სატრანსფორმატორო პუნქტის მიერ დაკავებული 120.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე მდებარე 72,0 კვ.მ შენობა-ნაგებობის გამოყოფა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უძრავი ქონების სს „ენერგო -პრო ჯორჯია“-სათვის საკუთრებაში გადაცემის ორგანიზაციული ღონისძიებები. ასევე, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან შეთანხმებული პირობებით და ვადით უზრუნველყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული 7 (შვიდი) ერთეული სატრანსფორმატორო პუნქტის გარემონტება და მუნიციპალიტეტის პირობით: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.24.04.580) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 27 მაისის N003727026 დასკვნით, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების - 281127.00 (ორასოთხმოცდაერთი ათას ასოცდაშვიდი) ლარის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხვის საწარმოოდ, მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.24.04.580) შპს „გრანდ მოლი“-სათვის (ს.ნ.445524479) პირდაპირი წესით საკუთრებაში გადაცემა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა N29-ის მიმდებარედ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 57,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი #05.24.04.580) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში მისი პირდაპირი განკარგვის წესით, პირობების შესრულების სანაცვლოდ შპს „გრანდ მოლი“-სათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.24.04.580) საბაზრო ღირებულებით - 281127,0 ლარით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, სს „ენერგო პრო ჯორჯია“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების
მართვის სამსახურის უფროსი

დავით კოპინაძე